

**სამეტყველო-კომპოზიციური ფორმების
მოდელირება ტექსტში**

**MODELING
OF COMPOSITIONAL SPEECH FORMS
IN TEXT**

ნინო ფხაკაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Nino Pkhakadze

Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

ABSTRACT

Compositional speech forms as certain combinations of sentences are characterized by organization. This organization is achieved through the use of different linguistic means. Description, narration, and reasoning reveal the regularities of the genre specificity of the text and imply a variety of morphological, lexical, and syntactic means. A language resource often becomes a stylistic marker of text. The integrity of the compositional speech form is also considered with conceptual value and it presents an interesting aspect of the linguoculturological paradigm.

It is necessary to characterize the compositional speech form according to the syntactic, compositional, and communicative structures. Their modeling in the text becomes possible by taking the functional characteristics of these structures into account.

Diachronically, the occurrences of compositional speech forms in texts differ: if their differentiation and their separate characterization are possible in classical texts, then the number of instances of confusion and overlap increases in modern texts; moreover, sometimes it is difficult to classify them or identify particular types.

The study of the modeling mechanism of compositional speech forms reveals the communicative value of language and the specificity of the use of linguistic resources in its realization, and the characteristics of the text.

საკვანძო სიტყვები: ტექსტის ლინგვისტიკა, სამეტყველო-კომპოზიციური ფორმები, ენობრივი რესურსები.

Keywords: Text linguistics, speech-compositional forms, Linguistic resources.

ლინგვისტური ელემენტები ტექსტში ფუნქციური იერარქიით რეალიზდება. ტექსტის იდეის ვერბალიზება ამ იერარქიული მთლიანობით ხორციელდება. სამეტყველო-კომპოზიციური ფორმები, როგორც წინადადებათა გარკვეული გაერთიანებები, ორგანიზებულობით ხასიათდება. ეს ორგანიზებულობა სხვადასხვა ენობრივი საშუალების გამოყენებით მიიღწევა. აღწერა, თხრობა, მსჯელობა ტექსტის ჟანრული სპეციფიკის კანონზომიერებებს ავლენს და მორფოლოგიური, ლექსიკური და სინტაქსური საშუალებების მრავალფეროვნებას გულისხმობს. ენობრივი რესურსი ხშირ შემთხვევაში ტექსტის სტილურ მარკერად იქცევა. სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის მთლიანობა კონცეპტური ღირებულებითაც განიხილება და ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის საინტერესო ასპექტს წარმოაჩენს. ავტორის მწერლური პროფილი ტექსტის სიღრმისეული სტრუქტურის ადეკვატური გაგებით გამოიკვეთება, სემანტიკის იდეასთან შესაბამისობა კი ლინგვისტური ელემენტების მიერ წარმოქმნილი ერთიანი ზედაპირული სტრუქტურით ცნაურდება. ტექსტის სინტაქტიკა არა ქაოსური განლაგებით, არამედ ორგანიზებული მონაკვეთებით იქმნება. სამეტყველო-კომპოზიციური ფორმები ის სტრუქტურულ-შინაარსობრივი ერთეულებია, რომელთა მეშვეობითაც იკვრება ტექსტი.

მეტყველების ნაწილთა რეკურენტულობა აღწერასა და თხრობაში სტილიზების განსაკუთრებულ ეფექტს ქმნის. დროითი, სივრცული ნიშნების წარმოჩენა, პიროვნული მახასიათებლების ხაზგასმა სახელების, ზმნური ფორმების, სინტაქსური კონსტრუქციების განმეორებით ხდება შესაძლებელი. ქართული ზმნის პოლიპერსონალიზმი, შინაარსობრივი მრავალფეროვნება, პირთა მიმართების მრავალფეროვანი შესაძლებლობები სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ორგანიზების შესანიშნავ რესურსს ქმნის. ქართული ენის მდიდარი ლექსიკური მარაგი, სინონიმის ლინგვისტური სახეობები სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა ექსპრესიულობას განუზომლად ზრდის. ნაწილაკები, კავშირები განსხვავებულ ფუნქციურ ღირებულებას იძენენ. განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები აბზაცების მთლიანობის განმსაზღვრელ მექანიზმში ერთვება.

ნაცვალსახელთა სისტემის მეშვეობით ხორციელდება ანაფორული და კატაფორული მიმართების რეალიზება. ტექსტის მონაკვეთთა ბმულობა გრამატიკულ დონეზე ზედაპირული სტრუქტურის მთლიანობას წარმოაჩენს, რაც, თავის მხრივ, შინაარსობრივი მთლიანობის განმაპირობებელია. განსაკუთრებული ღირებულების მქონე ენობრივ რესურსად განიხილება ზმნიზებები.

წინადადების ტიპები, მათი ურთიერთმონაცვლეობა სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ორგანიზებაში ენის სპეციფიკას ავლენს.

მსჯელობის დომინანტობა გარკვეული ტიპის ტექსტში შესამჩნევად გახაზავს ენობრივი რესურსის გამოყენების კომპლექსურ ხასიათს.

საყურადღებოა სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა შერწყმისა და ურთიერთმონაცვლეობის მექანიზმები.

სხვადასხვა ენას ლინგვისტური რესურსის რეალიზების განსხვავებული შესაძლებლობები აქვს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ენათა შედარება და ტექსტების მრავალრიცხოვანი კორპუსი.

ტექსტის სიმბოლური მნიშვნელობა, ესთეტიკური ღირებულება, კომუნიკაციური დანიშნულება თვით ტექსტის მთლიანობით განისაზღვრება. ამ მთლიანობის შექმნასა და წარმოჩენაში განსაკუთრებული ფუნქცია აქვს სამეტყველო-კომპოზიციური ფორმების ლინგვისტურ ორგანიზებას, რაც სინტაქტიკური საშუალებების მიზანმიმართული გამოყენებით მიიღწევა. ინფორმაციის მოდელირების სინტაქსური მექანიზმი ფუნქციური პერსპექტივით დისკურსული ანალიზის მნიშვნელოვან ასპექტად იქცა (Halliday 1990; Van Dijk 2016).

ტექსტი უნივერსალური სემიოტიკური სტრუქტურაა. გრამატიკული კატეგორიების დახასიათება ტექსტის ერთეულებთან მისადაგებით სიღმისეული სემანტიკის კვლევის გაფართოებამ გახადა შესაძლებელი. მორფოლოგიური ფორმებისგან აბსტრაქცირება, მეორე მხრივ, ლოგიკურ-სემანტიკური კატეგორიების ანალიზის გააქტიურება ტექსტის სემანტიკური მახასიათებლების წარმოჩენის წინაპირობად იქცა (Брандес 1979; Долинин 1985).

ტექსტის ლინგვისტიკა, ერთი მხრივ, მხატვრული ტექსტის კვლევა, მეორე მხრივ, საფუძველი გახდა სტრუქტურალისტურ-სემიოტიკური და კომუნიკაციური ასპექტების წარმოჩენისა, რისი წინაპირობაც პოეტიკისა და რიტორიკის თეორიულ წანამდგრებში მოიძებნებოდა და რამაც, თავის მხრივ, განავითარა სამეტყველო-კომპოზიციურ-ფორმათა თეორია (Бахтин 1975; Виноградов 1959).

სამეტყველო-კომპოზიციური ფორმების კვალიფიკაცია განსხვავებული მიდგომებით ხდება სამეცნიერო ლიტერატურაში. აქ მთავარია ცნება-ტერმინებთან – „სუპერსინტაქსური ერთეული“, „წინადადება“ – მიმართება. სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა აღიარებულია ფუნქციურად წინადადებაზე მაღალ ერთეულად (Беньяминова 1988).

საჭიროა სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის დახასიათება სინტაქსური, კომპოზიციური და კომუნიკაციური სტრუქტურების მიხედვით. ტექსტში მათი მოდელირება ამ სტრუქტურათა ფუნქციური მახასიათებლების გათვალისწინებით ხდება შესაძლებელი.

სინტაქსური სტრუქტურა იქმნება სუპერსინტაქსური მთლიანობით, წინადადებით, წინადადებათა ჯგუფით ან სინტაგმით. თითოეულ სინტაქსურ მოდელში წამყვანი შეიძლება იყოს რომელიმე ლინგვისტური ერთეული. აქ განსხვავებულია სუბსტანტივის, პრედიკატისა და განსაზღვრების როლი. აღწერის, თხრობისა თუ მსჯელობის სპეციფიკა დომინანტად წარმოაჩენს რომელიმე მათგანს.

კომპოზიციური სტრუქტურა მარტივია ან შედგენილი: კონტექსტი-საგან დამოუკიდებელი ან რამდენიმე კომპონენტის შემცველი.

კომუნიკაციური სტრუქტურა მრავალფეროვანია. აქ სხვადასხვა ტიპისა თუ ქვეტიპის გამოყოფაა შესაძლებელი სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა სპეციფიკის გათვალისწინებით. განმსაზღვრელია თემარემატული მიმართებები, ტექსტის სტაბილური თუ სიტუაციური განზომილებები, კონტექსტური მონაცემები და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები (Хведелидзе 1989).

სანიმუშოდ შეიძლება განვიხილოთ ერთ-ერთი სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა მხატვრული ტექსტიდან: „აღარ თოვდა, მაგრამ ყინვა კიდევ უფრო ღონივრად უჭერდა და მშრალი თოვლი ფეხქვეშ მწყრალად ჭრაჭუნობდა. ცივი ვარსკვლავები ნათლად ბჟუტავდნენ შავ ცაზე. გათოშილი ქვეყნიერება თავით ფეხამდე შეხვეულიყო თეთრ სუდარაში და მორჩილად მინდობოდა ღვთის ნებას“ (ჯემალ ქარჩხაძე, „ჭოლა“).

სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა – აღწერა:

სინტაქსური სტრუქტურა: წინადადებათა რიგი, აღწერის ძირითადი ლინგვისტური რესურსი: პრედიკატული (თოვდა, უჭერდა, ჭრაჭუნობდა, ბჟუტავდნენ, შეხვეულიყო, მინდობოდა), ატრიბუტული (მშრალი, ცივი, გათოშილი, შავ, თეთრ), ადვერბიალური (ღონივრად, მწყრალად, ნათლად, მორჩილად).

კომპოზიციური სტრუქტურა: შედგენილი – შეიცავს რამდენიმე აღწერას, წინადადებისა (მაგ., „ყინვა კიდევ უფრო ღონივრად უჭერდა“, „მშრალი თოვლი ფეხქვეშ მწყრალად ჭრაჭუნობდა“) და სინტაგმის დონეზე (ატრიბუტული და ადვერბიალური სინტაგმები: მშრალი თოვლი, ცივი ვარსკვლავები, შავ ცაზე, თეთრ სუდარაში, გათოშილი ქვეყნიერება; ღონივრად უჭერდა, მწყრალად ჭრაჭუნობდა, მორჩილად მინდობოდა).

კომუნიკაციური სტრუქტურა: დისტინქციური მახასიათებლების აღმწერი, კვალიტატიური რემის დომინანტობით. კვალიტატიურობის ენობრივი რესურსი ძირითადად ატრიბუტული ადვერბიალურია.

მხატვრული ფუნქცია: მოლოდინის, მორჩილების, უძრაობის მხატვრული ეფექტის შექმნა.

აღსანიშნავია ისიც, რომ დიაქრონიულად ტექსტებში სამეტყველო-კომპოზიციური ფორმების რეალიზების სურათი განსხვავებულია: თუ კლასიკურ ტექსტებში მათი გამიჯვნა, ცალ-ცალკე დახასიათება მკაფიოდ არის შესაძლებელი, თანამედროვე ტექსტებში სულ უფრო იზრდება „შერევა-გადაკვეთის“ შემთხვევები, როცა თავს იჩენს სამეტყველო-კომპოზიციური ფორმების ნარევი სახე, უფრო მეტიც, ზოგჯერ ჭირს კვალიფიკაცია, მიკუთვნება რომელიმე ტიპთან.

ამდენად, სამეტყველო-კომპოზიციური ფორმების მოდელირების მექანიზმის შესწავლა წარმოაჩენს ენის კომუნიკაციურ ღირებულებას და მის რეალიზებაში ენობრივი რესურსის გამოყენების სპეციფიკას, ტექსტის მახასიათებლებს.

გამოყენებული ლიტერატურა

ლევანიძე 2004: ლევანიძე გ., კომუნიკაციური ლინგვისტიკა. ჟურნალი „ენა და კულტურა“, თბილისი, 2004.

Halliday 1990: Halliday M.A.K., An Introduction to Functional Grammar. Eduard Arnold. 1990.

Van Dijk 2016: Van Dijk Teun A. Sociocognitive Discourse Studies. Chapter to appear in Handbook of Discourse Analysis (to be published by Routledge. John Richardson & John Flowerdew, Eds.). 2016. <http://www.discourses.org/OldArticles/Sociocognitive%20Discourse%20Studies.pdf>

Бахтин 1975: Бахтин М. М., Вопросы литературы и эстетики. Москва, 1975.

Беньяминова 1988: Беньяминова В. Н., Жанры английской научной речи. Композиционно-речевые формы. Киев, 1988.

Брандес 1971: Брандес М. П., Стилистический анализ (на материале немецкого языка). Москва, 1971.

Виноградов 1959: Виноградов В.В., О языке художественной литературы. Москва, 1959.

Долинин 1985: Долинин К.А., Интерпретация текста. Москва. 1985.

Дресслер 1978: Дресслер В., Синтаксис текста. Новое в зарубежной лингвистике. VIII. Москва, 1978.

Хведелидзе 1989: Хведелидзе Ц.Д., Структурно-семантические параметры композиционно-речевой формы. Тбилиси, 1989.